ღირსეულად შევხვდეთ დიად დღესასწაულს

საოქტომბრო ვახტზე

ნოემბრის ანგარიშში

ტყიბული. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის სახელოვანმა კოლექტივმა, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას ფლობს, მორიგი წარმატება მოიპოვა — ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულა ქვანახშირის მოპოვების ათი თვის დავალება. ახლა აქ ნოემბრის მესამე დეკადის ანგარიშში უშვებენ ქვანახშირს. ორჯონიკიძელებმა გეგმის გადამეტებით 55 ეშელონი სათბობი მისცეს სამშობლოს. მიმდინარე წლის განვლილ სამ კვარტალში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაადიდეს 12,5 პროცენტით.

მეტი და იაფი „შავი ოქროსათვის" ბრძოლაში თავი ისახელეს პირველმა და მეორე საექსპლოატაციო უბნებმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან წმყვანი კვალიფიკაციის მეშახტეები დ. კაკაძე, თ. კუბლაშვილი, ვ. დეკიძე, ბ. ლალაძე, ნ. თევდორაძე და სხვები.

ძვირფასი წიაღისეული

წყალტუბო. (საკ. კორ.). „საქგუმბარიტის" მადაროთა სამმართველოს კოლექტივი წინასადღესასწაულო ვახტზე დგას.

მადაროელებმა გადამეტებით შეასრულეს საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის დავალება. გუმბრინის № 3 მადაროს კოლექტივმა (უფროსი გ. გოცირიძე) განვლილ პერიოდში ათასამდე ტონა ზეგეგმითი ნატეხი გუმბრინი ამოიღო. დიდი გადაჭარბებით გაანღდეს დავალება ბარიტისა და გუმბრინის საფქვავი ქარხნების კოლექტივებმაც, რომლებსაც ნ. ფაჩუაშვილი და გ. სადრაძე უძღვებიან.

განახლებული ავტომანქანები

თბილისის პირველი ავტოშემკეთებელი ქარხნის ეზოში კოლონებად ჩამწკრივებულან რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხიდან აქ გასაჯანსაღებლად ჩამოტანილი სატვირთო ავტომობილები და სამგზავრო ავტობუსები. ისინი ავტოშემკეთებლების — ზეინკლების, ხარატების, შემდუღებლების, მღარავების, მექანიკოსების მკურნალ ხელს ელოდებიან, რათა კვლავინდებურად იქროლონ შარაგზებზე, გადაზიდონ სახალხო დოვლათი, გადაიყვანონ მგზავრები.

ავტოშემკეთებლების მადლიანმა ხელმა გამოაჯანსაღა და რესპუბლიკის საავტომობილო პარკს გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ დაუბრუნა 44 სატვირთო ავტომანქანა და 21 სამგზავრო ავტობუსი.

წელს ამ საწარმოს კოლექტივი უკეთესი საოქტომბრო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ეჯიბრება რიგისა და კიევის ავტოშემკეთებელი ქარხნების კოლექტივებს. ამ შეჯიბრებაში თბილისელ ავტოშემკეთებლებს დიდ დახმარებას უწევენ თავიანთი რაციონალიზატორები. მათი შემოქმედებითი აზრი მიმართულია იმ საკითხების გადაჭრისაკენ, რომლებსაც ამა თუ იმ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქარხნის რიტმული მუშაობისათვის — წელს განვლილ სამ კვარტალში ქარხნის რაციონალიზატორებმა წარადგინეს 107 წინადადება. აქედან უკვე დანერგილია 72 წინადადება, რაც საწარმოს ყოველწლიურად 13.200 მანეთ ეკონომიას მაცლიებს. ქარხნის ეზოდან ყოველდღე გამოდიან განახლებული ავტომანქანები.

მ. თვარაძე

ბეჭედი

ᲗᲔᲚᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘ

თელავის რაიონის მხვნელ-მთესველებმა 23 ოქტომბრისათვის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.618 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.656 ტონა მარცვლეული, მათ შორის 3.496 ტონა სიმინდი ნაცვლად 3.201 ტონისა.

რაიონში გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის მატყლის, აბრეშუმის პარკის, ბაღჩეულის, კურკოვანი გარეული ხილის მიყიდვის წლიური გეგმები. მატყლის მიყიდვის გეგმა გაბადდებულია 102,2 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა 124,2, ბაღჩეულისა — 100,1 პროცენტით.

ᲖᲔᲖᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ბორჯომი. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის ცხრა თვეში ქალინინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით დაამზადა 3 მილიონ 106 ათასი ცალი ბოთლი.

შრომის მაღალი ტემპი შენარჩუნებულია ოქტომბერში. ოცი დღის საწარმოო დავალება გაბაღდებულია გადაჭარბებით. შუშის მბერავები ო. მჭედლიშვილი, ი. შუბითიძე, ბოთლის დამყალობებლები გ. ანტონოვი, ვ. კიკაძე საწარმოო გეგმებს 1,5-2-ჯერ გადაჭარბებით ასრულებენ.

ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲐᲮᲚᲔᲗᲐ ᲕᲐᲮᲢᲘ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 251 (13067) | კვირა, 25 ოქტომბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲝ!

აგროვადებში დავამთავროთ საშემოდგომო სამუშაოები, სამშობლოს მივცეთ მეტი მარცვლეული, უურძენი, ხილი, თამბაქო, ჭარხალი, მეცხოველეობის პროდუქტები.

ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲨᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲘ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს ᲘᲠᲒᲘᲖᲝᲗᲘᲡ სს რესპუბლიკის, ᲑᲐᲨᲙᲘᲠᲗᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲡᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ, ᲝᲠᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘᲡ, ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ, ᲑᲔᲚᲒᲝᲠᲝᲠᲝᲓᲘᲡ, ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘᲡ, ᲩᲘᲩᲘᲡ, ᲐᲛᲣᲠᲘᲡ ᲝᲚᲥᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲚᲘᲜᲝ�გᲠᲐᲓᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ სახელმწიფო სამმართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ყველა მშრომელს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი.

ᲣᲠᲒᲘᲖᲝᲗᲘᲡ სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სამშობლოს ბელადში შეინახეს 11 მილიონ 700 ათასი ფუთი მარცვალი, აქედან 8 მილიონ 200 ათასი ფუთი ხორბალი.

90 მილიონ 258 ათასი ფუთი მარცვალი შეინახეს ᲑᲐᲨᲙᲘᲠᲔᲗᲘᲡ ასს რესპუბლიკის მშრომელებმა სახელმწიფოს ბელადებში.

ᲑᲣᲠᲘᲐᲢᲔᲗᲘᲡ ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 8 მილიონ 180 ათასი ფუთი მარცვალი შეინახეს, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 2 მილიონ 576 ათასი ფუთით მეტია.

დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს ᲝᲠᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘᲡ ოლქის მხვნელ-მთესველებმა, სამშობლოს ბელადებში შენახულია 152 მილიონი ფუთი მარცვალი. გეგმით გათვალისწინებულზე 6,1 მილიონი ფუთით მეტი. ხორბალი ჩაბარდა 109,4 მილიონი ფუთი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 19 მილიონი ფუთით მეტია.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 51 მილიონ 600 ათასი ფუთი პური, რაც გეგმით გათვალისწინებულზე ერთი მილიონი ფუთით მეტია.

36 მილიონ 119 ათასი ფუთი პური, გეგმით გათვალისწინებულზე 5 მილიონ 350 ათასი ფუთით მეტი შეინახეს სამშობლოს ბელადებში ᲑᲔᲚᲒᲝᲠᲝᲠᲝᲓᲘᲡ ოლქის შრომელებმა.

ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘᲡ ოლქის მხვნელ-მთესველებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 35 მილიონ 842 ათასი ფუთი მარცვალი — 799 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ᲐᲛᲣᲠᲘᲡ ოლქის მშრომელებმა სამშობლოს მიჰყიდეს 11 მილიონ 72 ათასი ფუთი მარცვალი, აქედან 9,4 მილიონი ფუთი ხორბალია. ხორბალი გეგმით გათვალისწინებულზე 2 მილიონი ფუთით მეტია ჩაბარებული.

ᲪᲔᲚᲘᲜᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ ოლქის ᲓᲔᲠᲔᲣᲖᲘᲜᲡᲙᲘᲡ სახელმწიფო სამმართველოს მშრომელებმა პურის მიმღებ პუნქტებს ჩაბარეს 37 მილიონი ფუთი მარცვალი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 24 მილიონ 400 ათასი ფუთი.

სახელი და დიდება შრომის გმირებს!

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-49"

საკდესის ცნობა

1964 წლის 24 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-49" მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია ომისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 91,83 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 490 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი (პერიგეა) — 260 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ — 49 გრადუსი.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა, ორბიტის ელემენტების ზუსტად გასაზომი რადიოსისტემა, რადიოტელემეტრიული სისტემა ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის მონაცემების დედამიწაზე გადასაცემად ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲨᲘ

ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲐ

შემოდგომის მზიანი დღეებია. გაჩაღებულია მოსავლის აღება. ბაღ-ვენახებში, სიმინდის ყანებში, შაქრის ჭარხლისა და თამბაქოს პლანტაციებში შემოქმედებითი შრომა სუფევს. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები აბინავებენ თავიანთ ნაამაგარს. ყურძნის აღების ფრონტმა იმერეთის რაიონებში გადაინაცვლა. კახეთისა და ქართლის რაიონების მევენახეები ყურძნის უკანასკნელ ტონებს იღებენ. მარნებში მაჭარი ჩუხჩუხებს...

ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ საქართველოს რაიონებში სიმინდის აღება დასასრულს უახლოვდება, ხოლო დასავლეთ საქართველოს რაიონებში ეს სამუშაო ახლა გაჩაღდა. სულ რესპუბლიკაში სამარცვლე სიმინდი აღებულია 70.801 ჰექტარი. კიდევ ასაღებია ასი ათას ჰექტარზე მეტი. ᲥᲕᲐᲠᲚᲘᲡ რაიონში სიმინდის აღების დავალება შესრულებულია 89,8 პროცენტით, ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ — 88,7, ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ — 85, ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ — 75, ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲝᲡ — 53,8, ᲗᲘᲗᲘᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ — 73,3, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ — 66,7, ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ — 55,2, ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ — 85,4, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ — 48,2, ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ — 32,1, ᲑᲐᲠᲛᲐᲮᲜᲘᲡ — 23,7, ᲒᲝᲠᲘᲡ — 35,5, ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲝᲚᲥᲨᲘ — 54,3, ᲩᲝᲚᲝᲙᲘᲡ — 65,2, ᲮᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ — 75,7, ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ — 59,8, ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ — 47,4, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ — 45,6, ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ — 45,1, ᲬᲘᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ — 26,3 პროცენტით. ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ, ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ, ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ, ᲪᲮᲐᲠᲝᲘᲡ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიონებში, ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡᲐ და ᲐᲒᲐᲠᲘᲡ ასს რესპუბლიკებში ამ დღეებში შეუდგნენ სიმინდის მოსავლის აღებას.

ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ

ᲡᲐᲓ რამდენი ყურძენი დამზადდა? ამაზე მეტყველებენ ციფრები. 24 ოქტომბრამდე ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ რაიონში დამზადებულია 12.388 ტონა ყურძენი ნაცვლად 34.830 ტონისა. ᲗᲔᲚᲐᲕᲔᲚᲒᲐᲛᲐ 29.600 ტონად დაამზადეს 12.951 ტონა. ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ რაიონში დამზადდა 8.796 ტონა, გეგმა კი 15.200 ტონას ითვალისწინებს. ᲧᲐᲠᲐᲚᲔᲒᲛᲐ დაამზადეს 3.039 ტონა ნაცვლად 15.200 ტონისა. ᲩᲝᲚᲝᲙᲘᲡ რაიონში დამზადებულია 18.431 ტონა ყურძენი, გეგმა კი 32.000 ტონას ითვალისწინებს. ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲔᲚᲘᲡ შეოდგენენ ყურძნის კრეფას. დაამზადეს პირველი 1.835 ტონა ნაცვლად 16.500 ტონისა. ᲮᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ რაიონში დაამზადეს 2.509 ტონა ნაცვლად 10.140 ტონისა. ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ რაიონში დამზადებულია 1.231 ტონა, გეგმა 7.520 ტონის ოამზადებას ითვალისწინებს. ᲑᲐᲠᲚᲐᲒᲜᲔᲚᲔᲒᲛᲐ ჩაბარეს 1.376 ტონა ნაცვლად 4.200 ტონისა. ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ რაიონში დაამზადა 3.637 ტონა ნაცვლად 7.819 ტონისა. ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ რაიონში დამზადებულია 2.310 ტონა ნაცვლად 4.650 ტონისა. ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡᲨᲘ დამზადდა 2.117 ტონა ნაცვლად 4.350 ტონისა.

ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ

მთამბაქოსბის რაიონებში 20 ოქტომბრისათვის შეტეხილი იყო 151.005 ათასი ზონარმეტრი თამბაქო ნაცვლად 174.000 ათასი ზონარ-მეტრისა. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში თამბაქოს შეტეხილ დავალება შესრულებულია 86,8 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 70,5 პროცენტით, ყვარლის რაიონში — 82,7 პროცენტით, ხოლო ბოლნისელმა მეთამბაქოეებმა გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს შეტეხის დავალება.

ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲐᲚᲘ

ᲛᲔᲭᲐᲠᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ რაიონებში შაქრის ჭარხლის აღება გაჩაღდა. გეგმით გათვალისწინებული 4.001 ჰექტარიდან უკვე მოწეულია 1.630 ჰექტარზე მეტი. ამოღებულია 32.139 ტონა შაქრის ჭარხალი.

ᲒᲝᲠᲘᲡ რაიონში გეგმით ასაღებია 2.079 ჰექტარი შაქრის ჭარხალი. 20 ოქტომბრისათვის აღებული იყო 768 ჰექტარი. ᲮᲐᲨᲣᲠᲔᲚᲔᲒᲛᲐ აიღეს 379 ჰექტარი — გეგმა შეასრულეს 45,4 პროცენტით. ᲡᲐᲐᲮᲠᲗᲝ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ავტონომიურ ოლქში აღებულია 365 ჰექტარი, ანუ გეგმის 64,9 პროცენტი. ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ რაიონში შაქრის ჭარხლის აღების დავალება შესრულებულია 22,5 პროცენტით.

ᲛᲖᲠᲐᲚᲐᲓ ᲮᲕᲜᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ რესპუბლიკაში წელს მზრალად უნდა მოიხნას 201.710 ჰექტარი. მოხნულია 85.652 ჰექტარი, რაც გეგმის 42,5 პროცენტს შეადგენს. ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ რაიონში გეგმით გათვალისწინებული 47.100 ჰექტარიდან მზრალად მოხნულია 22.413 ჰექტარი. ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ რაიონში 26.090 ჰექტარიდან მოხნულია 13.681 ჰექტარი. ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ მოხნეს 6.404 ჰექტარი, გეგმით მოსახნავია 13.900 ჰექტარი.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ რაიონში მზრალად ხვნის გეგმა შესრულებულია 26,8 პროცენტით, ყვარლის — 26,1, ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ — 24,4, ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲝᲡ — 22,8, ᲑᲐᲠᲛᲐᲮᲜᲘᲡ — 28,3, ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ — 31,6, ᲗᲘᲗᲘᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ — 57,1, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ — 51,5, ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ — 45,6, ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ — 61,4, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ რაიონში — 74,7 პროცენტით.

ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲛᲖᲘᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲐ

შემოდგომის მზიანი დღეებია. გაჩაღებულია მოსავლის აღება. ბაღ-ვენახებში, სიმინდის ყანებში, შაქრის ჭარხლისა და თამბაქოს პლანტაციებში შემოქმედებითი შრომა სუფევს. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები აბინავებენ თავიანთ ნაამაგარს. ყურძნის აღების ფრონტმა იმერეთის რაიონებში გადაინაცვლა. კახეთისა და ქართლის რაიონების მევენახეები ყურძნის უკანასკნელ ტონებს იღებენ. მარნებში მაჭარი ჩუხჩუხებს...

ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲩᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

რთველია გაჩაღებული ზესტაფონის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აქაურმა მევენახეებმა სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 18.400 ტონაზე მეტი ყურძენი. სამმართველოს ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. პირველი სვირის ძნელაძისა და მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობების მევენახეებმა ზვრებს სანიმუშოდ მოუარეს და ახლა შრომის ნაყოფით ტკბებიან. ბარაქიანი რთველი აქვთ.

ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანასა და კრეფაში თავი ისახელეს პირველი სვირის კოლმეურნეობის მევენახეებმა მ. დეკანოიძემ და თ. ჭყოიძემ, აგრეთვე მეორე სვირის კოლმეურნეობის მევენახეებმა — ტატიანა, ნანი და მერი ლომინაშვილებმა, მაგული გეწაძემ, ვალერიან კალანდაძემ და სხვებმა.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — მოწინავე მევენახეები თ. ჭყოიძე და მ. დეკანოიძე; შუაში — რთველი მეორე სვირის კოლმეურნეობაში; მარჯვნივ — მეორე სვირის კოლმეურნეობის მევენახე ვ. კალანდაძე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ბრეგაძე ვენახში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲐᲛᲘᲠᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა 24 ოქტომბერს კრემლში მიიღო კონგოს რესპუბლიკის (ბრაზავილი) საპარლამენტო დელეგაცია ეროვნული კრების თავმჯდომარის ლეონ ანგორის მეთაურობით.

ა. ი. მიკოიანსა და კონგოს პარლამენტის დეპუტატებს შორის გაიმართა გულთბილი მეგობრული საუბარი. ორივე მხარისთვის საინტერესო საკითხებზე, აგრეთვე ორივე ქვეყანას შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. სპირიდონოვი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პეივე. (საკდესი).

ᲐᲜᲢᲘᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). ბოლივიის ქალაქებში ორუროსა და პოტოსიში გაიმართა ანტიამერიკული დემონსტრაციები. როგორც გავიგეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი იტყობინება, ორივე ქალაქში თავს დაესხნენ ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახურის განყოფილებებს.

ᲘᲜᲡᲪᲔᲜᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲔᲝᲞᲝᲚᲓᲕᲘᲚᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24 ოქტომბერი. (საკდესი). ანტუან გიზენგა—პატრის ლუმუმბას უახლოესი თანამებრძოლი — დაპატიმრებული ჰაკეთ ლეოპოლდვილში და არა ყადოვილში — ასეთი „ორსებითი" შესწორება შეიტანეს ლეოპოლდვილის ხელისუფლებამ კონგოს განთავისუფლების ეროვნული საბჭოს მიერ 22 ოქტომბერს გამოქვეყნებულ ცნობაში, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გიზენგა ჩაგდებულია ქალაქ ყადოვილის მიწისქვეშა საპყრობილეში. კონგოს განთავისუფლების ეროვნული საბჭოს ცნობის „უარყოფის" მიზნით ლეოპოლდვილის ხელისუფლებამ გუშინ მოაწყვეს ლეოპოლდვილში აკრედიტებული მთელი რიგი ჟურნალისტების „შეხვედრის" ინსცენირება ანტუან გიზენგასთან. გიზენგა ჟურნალისტებს „აჩვენეს" ჯარისკაცებისა და პოლიციელთა გაძლიერებული დაცვის თანხლებით. როგორც რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, მას უბრძანეს გაჩუმებულიყო და პასუხი არ გაეცა შეკითხვებზე.

ᲡᲣᲓᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24 ოქტომბერი (საკდესი). ხარტუმის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და სუდანის პოლიციას შორის გუშინ მოხდა დიდი შეტაკება, რომლის შედეგადაც არიან დაზიანებული და დაშავებულნი. იუწყება რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი ხარტუმიდან.

სუდანის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ეს შეტაკება მოხდა მას შემდეგ, რაც პოლიციელები შეეცადნენ დაეშალათ სტუდენტთა აკრძალული წრე, რომელიც განიხილავდა სამხრეთ სუდანის პრობლემებს. წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით ხარტუმის უნივერსიტეტის რექტორმა განკარგულება გასცა დროებით დაეხურათ უნივერსიტეტი.

საინფორმაციო საააგენტოების ცნობების თანახმად, არეულობა სუდანის დედაქალაქში გრძელდება. გაურკვეველმა პირებმა ცეცხლი დაუშინეს ხარტუმის ერთ-ერთი გაზეთის რედაქციას.



ᲞᲐᲜᲐᲛᲘᲡ ᲣᲤᲘᲠᲘᲡ

პანამის პრეზიდენტმა მარკო რობლესმა ამ ქვეყნისადმი მიმართვაში განაცხადა, რომ პანამის საფინანსო მდგომარეობა „უაღრესად მძიმე და საჩოთიროა". სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი წელს 6 მილიონ ბალბოას შეადგენს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ — ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

პარიზი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთში დაიწყო „საბჭოთა კინოს კვირეული". ასობით პარიზელი შეიკრიბა ეროვნული სახალხო თეატრის მაყურებელთა დარბაზში შაიოს სასახლეში, სადაც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კვირეული.

ცნობილმა ფრანგმა კინომსახიობმა დანი რობენმა მაყურებელებს წარუდგინა საბჭოთა კინოს მუშაკთა დელეგაცია — მსახიობები ა. ვერტინსკაია, ნ. ველიჩკო, ვ. არტმანე, კინომსახიობი ვ. კონიაევი, დელეგაციის მეთაურის სსრ კავშირის სახალხო არტისტის კინორეჟისორ ს. ა. გერასიმოვის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ნაჩვენები იყო ფილმი „სიჩუმე" (რეჟისორი ვ. ბასოვი), რომელსაც მაყურებელნი გულთბილად შეხვდნენ.

საბჭოთა ფილმების დემონსტრაცია ერთსა და იმავე დროს დაიწყო პარიზის რამდენიმე კინოთეატრში. საბჭოთა კინემატოგრაფიის დღეები გაიმართება აგრეთვე გრენობლში.

— ჩვენი კინემატოგრაფია ღირსეულად არის წარმოდგენილი კინოკვირეულში, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ს. ა. გერასიმოვმა, — გარდა „სიჩუმისა", ნაჩვენები იქნება ფილმები „ჰამლეტი", „ორნი ველში", „ცხოვრობს ასეთი ჭაბუკი", „შუშბლიური სისხლი" და „შენს კარიბჭესთან", აგრეთვე რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ლენტი. ჩვენ ბედნიერი ვართ მომთხოვნ ფრანგ მაყურებელთან შეხვედრის გამო და ვიმედოვნებთ, რომ ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების ურთიერთობის განმტკიცებას.

ᲖᲐᲛᲑᲘᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ

ლუსაკა, 24 ოქტომბერი. საკდესის სპეც. კორესპონდენტი გ. სკობელევი იტყობინებს:

აქ ეს-ეს არის გამოცხადეს, რომ გადაიკრა ზამბიის მინერალური რესურსების მომავლის პრობლემა. ინგლისის, ზამბიისა და „ბრიტიშ საუტ აფრიკის" კომპანიის ადმინისტრაციას შორის მიღწეულია შეთანხმება, რომ მომდინარე წლის 24 ოქტომბრიდან ყველა უფლება ამ დარგში ეძლევა ზამბიის მთავრობას, მოსალოდნელია, რომ შეთანხმება გამოქვეყნდება უახლოეს ხანში.

„ბრეტიშ საუტ აფრიკა" ინგლისის გიგანტური კომპანიაა, რომელიც უზარმაზარ მიწის ფართობს ფლობს ცენტრალურ აფრიკაში. ამ მიწაში არსებული სასარგებლო მადნეულის დამუშავების უფლებას „ბრიტიშ საუტ აფრიკა" საკონცესიოდ აძლევს სამთო მომპოვებელ კომპანიებს, რისთვისაც დიდ შემოსავალს იღებს.

ᲣᲛᲣᲨᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲛᲝᲚᲘᲗ

ტოკიო, 24 ოქტომბერი. (საკდესი). იაპონიის მთავრობის ადმინისტრაციული კონტროლის ბიუროს უფროსმა კეიკიტი მასუხარამ მინისტრთა კაბინეტის განსახილველად წარადგინა მოხსენება მომსახურების სფეროში დასაქმებული 15 ათასი კაცის დათხოვნის შესახებ.

ეს მოხსენება შედგენილია მინისტრთა კაბინეტის იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომ საჭიროა შემცირდეს ხარჯები.

მოხსენების დამტკიცების შემთხვევ

კომუნისტი

ჯალაგი ჯიგარლილი!

ჯალალიულ-სახელმწიფო კონტროლის ჯვალდი №15

სურათზე: სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე შ. მურვანიძე (მარჯვნიდან მესამე) პირუტყვის უკეთ გამოზამთრების მიზნით მოწყობილი შემოწმების შედეგებზე ესაუბრება ჯგუფის წევრებს (მარჯვნიდან მარცხნივ) ე. რამაზანოვას, ბ. კაკალაშვილს, ვ. ღორაშვილს, შ. ბიკაშვილსა და ა. მენთეშაშვილს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პირუტყვს ასე გამოვაზამთრებთ

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი სახოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პირველი წლის შედეგებს შემოდგომის უხვი მოსავლით აჯამებენ. ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად მტკიცე საფუძველს ჩავუყრით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას, რამდენად კარგად და ორგანიზებულად უზრუნველვყოფთ საზოგადოებრივი პირუტყვის გამოზამთრებას.

გასულ წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ სრულყოფილად ვერ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის, რის შედეგადაც გარკვეული ზარალი განიცადეთ. ამასთან პირუტყვი საკმარისად არ იყო უზრუნველყოფილი სრულფასოვანი საკვებით. საკვების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ხარისხი დაკარგა, უვარგისი გახდა. ფერმის მუშაკები საკვების დაკუმცადებასა და შემზადებას არ ეწეოდნენ. მეცხოველეობის ზოგიერთ ბრიგადაში უხეში საკვების 15-20 პროცენტი მიმოფანტული იყო და ფუჭდებოდა. სწორედ ამიტომ 1963 წელს მეცხოველეობის პროდუქტების საწარმოებლად გაცილებით მეტი საკვები დიახარჯა, ვიდრე ნორმით იყო გათვალისწინებული. ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას.

პირუტყვის გამოზამთრებაზე უარყოფითად იმოქმედა აგრეთვე იმან, რომ ბოსლები კარგად შეკეთებული და დათბუნებული არ იყო, ზამთრის პერიოდში ადგილი ჰქონდა მწყემსთა დენადობას.

პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენც. საზოგადოებრივი კონტროლის წარმომადგენლები, ყოველივე ამას ვეგუებოდით და გულდამშვიდებით შევაცქეროდით შექმნილ მდგომარეობას.

როცა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის წარმომადგენლებმა, კოლმეურნეობის გამგეობისა და სპეციალისტების მონაწილეობით, განვიხილეთ მეცხოველეობის გამოზამთრებისათვის შინაგანი რეზერვების გამოვლენისა და მათი რაციონალურად გამოყენების საქმეში ჯგუფის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალები, კოლმეურნეობის საერთო კრების განსახილველად შევიტანეთ კონკრეტული წინადადებანი.

ჩვენ მოვითხოვეთ, რომ კოლმეურნეობამ გამოაყოს სპეციალური დროებითი ბრიგადა პირუტყვის სადგომების რემონტისა და დათბუნების დაჩქარებისათვის. შესრულებული სამუშაო გამგეობამ მხოლოდ მას შემდეგ უნდა მიიღოს, როცა კომისია მას დადებითად შეაფასებს.

ამასთან მოეწყოს ზამთრისათვის საჭირო მთელი საკვების მარაგის გადაზიდვა ფერმის ტერიტორიაზე. მთლიანად შემოწმდეს არსებული ყველა სახის საკვების რაოდენობა, ხარისხი, და იგი აქტით ჩაბარდეს მატერიალურად პასუხისმგებელ პირს.

ყველა სახის საკვები მომვლელებს პირუტყვისათვის მიეცეთ მხოლოდ და მხოლოდ წონით, და საკვების ყოველ მიღებას, როგორც წესი, ხელს უნდა აწერდეს მომვლელი;

პირუტყვის მომვლელებს, თუ ისინი წარმატებით გამოიყენებენ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებას, პირუტყვის ყოველი კილოგრამი წონა მატებისა და ყოველი კილოგრამი რძის მიღებისათვის გათვალისწინებულ საკვებ ერთეულზე ნაკლებს დახარჯავენ, დამატებით მიეცეთ საკვების მომჭირნეობით ხარჯისათვის გაწეული ეკონომიის 25 პროცენტი ფულად;

მომვლელებს აეკრძალოთ ნამჯისა და სამინდის ჩალის დაუჭუცმაცებლად, შეუმზადებლად, ძირხვენების დაუჭრელად და სიმინდის ტაროს დაუღერღვად პირუტყვისათვის საკვებად მიცემა. დაწესდეს, რომ თუ ფერმის გამგე, ბრიგადირი, მომვლელი და სხვები, ვისაც ევალება საკვების წინასწარ შემზადება, არ შეასრულებენ ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს, მათ ჩამოეწეროთ იმ დღეებში გამომუშავებული შრომადღეები, როცა დაარღვიეს საკვების შემზადების წესი.

იმის გამო, რომ ძნელია ყოველთვის დაცულ იქნას პირუტყვის მოვლისა და კვების პირობები ინდივიდუალურად, გამგეობამ გამოჰყოს მოზარდეულის საერთო სულადობიდან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და ღორის სუსტი და ნაკლებად განვითარებული ჯგუფი და მოსავლელად ჩაბაროს შედარებით გამოცდილ მომვლელებს. ეს დასუსტებული პირუტყვი გადაყვანილ იქნას გაძლიერებულ კვებაზე. შრომის შედეგებით მატერიალური დაინტერესების ამაღლების მიზნით ზამთრის პერიოდში მომვლელებს 100 პროცენტით პირუტყვის გამოზამთრებისათვის დამატებით მიეცეთ ფერმის მომვლელი პერსონალის საშუალო ანაზღაურების 15 პროცენტი.

ნამატის უკეთ გაზრდისა და შენარჩუნებისათვის, აგრეთვე რძისა და რძის პროდუქტების ეკონომიისა და ხარჯების შემცირებისათვის ფერმაში მოეწყოს ხელოვნური რძის წარმოება და ხბოების კვება ხელოვნური რძით.

მეცხოველეობის მესამე ბრიგადის საძროხეში განხორციელდეს საკვების მიწოდების, წყლის, ნაკელის გატანის სამუშაოთა მექანიზაცია.

კოლმეურნეობის ხარევიზიო კომისიამ პერიოდულად განახორციელოს ფერმებში საკონტროლო წყალი, რძის ცხიმიანობის განსაზღვრა და შედეგები სათანადო ზომების მისაღებად წარუდგინოს კოლმეურნეობის გამგეობას.

კოლმეურნეობის საერთო კრებამ მთლიანად და სავსებით მოიწონა ჩვენი წინადადებები და მათი შესრულებისათვის მიიღო კონკრეტული დადგენილება, რომელიც ახლა წარმატებით ხორციელდება.

კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ჩვენი წინადადებები საფუძვლად დაუდო საზოგადოებრივი პირუტყვის გამოზამთრების საუკეთესოდ მოწყობის საქმეს.

ამ წინადადებების არსი ის არის, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორის და ფრინველის სიკვდილიანობა. გასულ 1963 წელთან შედარებით მარტო სიკვდილიანობის შემცირების გზით თავიდან ავიცილებთ 4,0 ათას მანეთზე მეტ ზარალს.

მიმდინარე წელს 1963 წელთან შედარებით ხორცის წარმოებას გავადიდებთ 300 ცენტნერით, რძისას — 500 ცენტნერით, კვერცხისას — 200 ათასი ცალით. ამასთან დავზოგავთ 210 ტონა საკვებ ერთეულს, ანუ 7 ათას მანეთს, რაც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ მეცხოველეობის პროდუქტების დამატებით წარმოებისათვის. ხელოვნური რძით მოზარდების გამოკვებით დავზოგავთ 5,2 ათას მანეთს.

შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციით გავწევთ სულ ცოტა 3.000 შრომადღის, ანუ 5.000-მდე მანეთის ეკონომიას.

ცენტნერი რძის თვითღირებულება მცირდება 3 მანეთით, ხორცისა — 20 მანეთით, მატყლისა — 75 მანეთით, რითაც მეცხოველეობის პროდუქტებს თვითღირებულება გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

ჩვენი კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა ინარა ამ ღონისძიებათა შესრულებისადმი თანმიმდევრული კონტროლის განხორციელება, რისთვისაც შევიმუშავეთ კონკრეტული გეგმა. მთავარი ადგილი დაეთმო არა მარტო ნაკლოვანებათა გამოვლენებასა და მხილებას, არამედ მათი გამოსწორების პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებას.

კონტროლის გაძლიერებისა და ქმედითობისათვის ფერმის ოთხ ბრიგადაში დამატებით შევქმენით პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები. ფერმაში ამ ჯგუფებს ეკისრებათ ამ ღონისძიებათა ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობა. ეს ჯგუფები ფერმის ოთხ ბრიგადაში ერთ-ერთ ადგილზე ინახავენ ჯგუფის ინვენტარს, ინიშნავენ ჯგუფის ხელმძღვანელებს, ანაწილებენ ფერმის ტერიტორიაზე. ეს ჯგუფები ფერმაში ინიშნავენ ადგილებს, სადაც ინახავენ ინვენტარს, ინიშნავენ ჯგუფის ხელმძღვანელებს, ანაწილებენ ფერმის ტერიტორიაზე. ეს ჯგუფები ფერმაში ინიშნავენ ადგილებს, სადაც ინახავენ ინვენტარს, ინიშნავენ ჯგუფის ხელმძღვანელებს.

ეს ინიციატივა მხარდასაჭერია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა ამ დღეებში განიხილა სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარის შ. მურვანიძის წერილი. პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრების მიზნით ავტორი ამ წერილში აყენებს საყურადღებო წინადადებებს.

კომიტეტმა მოიწონა გამარჯვების კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის საქმიანობა და დაავალა რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს, კონტროლის ხელშემწყობ ჯგუფებს მხარი დაუჭირონ გამარჯვების კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ინიციატივას და აქციური მონაწილეობა მიიღონ პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის ბრძოლაში.

პირველი ნაბიჯი

ჩვენი კომბინატის ცალკეულ საწარმოებსა და განყოფილებებში 650 სახალხო კონტროლიორი მოქმედებს. მათი თვალი ყველგან სწვდება.

რამდენიმე ფაქტი.

სახალხო კონტროლიორები განსაკუთრებით დაინტერესებენ ფლანელის ხამი ქსოვილის ხარისხის გაუმჯობესებით. საქმე იმით დაიწყო, რომ შეიქმნა კომისია, რომელმაც შეისწავლა და გამოავლინა ფლანელის ხამ ქსოვილზე წვნის წარმომშობი მიზეზები. მანვე დეტალურად შეამოწმა მეორე რიგის სართავ და საქსოვ ფაბრიკებში მანქანა-დანადგარების ტექნოლოგიური მდგომარეობა და მანქანა-დანადგარებისადმი მომსახურე პერსონალის დამოკიდებულება. გამოირკვა, რომ აქ ადგილი ჰქონდა ფლანელის დამზადების ტექნოლოგიის უხეშ დარღვევას როგორც მრთველების, ისე მქსოველების მიერ.

სართავი ფაბრიკის კოლექტივი ნართის ხარისხს ვერ დაიკვეხნდა. მას არ ჰქონდა საჭირო სითანაბრის ნომერი და გრეხილობა, რაც დიდად უშლიდა ხელს ძალლხარისხოვანი ფლანელის მიღებას. ზოგიერთ უბანზე შესამჩნევი იყო მანქანა-დანადგარების უწესო მომსახურება. კომისიის წევრთა მოთხოვნით ფაბრიკის ადმინისტრაციამ სხვადასხვა სასჯელი დაადო კონკრეტულ დამნაშავე პირებს.

პრაქტიკული ღონისძიებები განხორციელდა აგრეთვე საქსოვ ფაბრიკაში. ფლანელის საქსოვი დაზგები დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური ქვეოსტატებით, რომელთა შორის იყვნენ სახალხო კონტროლიორები ყარაბოღაშვილი, კორინთელი და სხვები.

მიღებული ზომების შედეგად ამაღლდა პირველი ხარისხის ფლანელის გამოშვების პროცენტი. მაგალითად, მიმდინარე წლის ივლისსა და აგვისტოში იგი 91,4 პროცენტს უდრიდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 91 პროცენტისა, მაშინ როცა წლის პირველ ნახევარში 89,4 პროცენტს შეადგენდა.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ჯგუფმა გამოავლინა, რომ დეტალების დასაწყობში ერთმანეთშია არეული მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები. დეტალების დასაწყობი ყაფაზები აეარიულ მდგომარეობაშია. არაწესიერ მდგომარეობაში ინახება აგრეთვე ბამბის ნარჩენები. ქსოვილი, რომელიც ნარჩენებია შენახული, დახეული.

ხელშემწყობმა ჯგუფმა შეამოწმა რაციონალიზატორული წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვის მდგომარეობა, გამოირკვა, რომ ზოგიერთ საამქროში ამ მხრივ ძალიან ცუდად არის საქმე. მაგალითად, № 1 სართავი ფაბრიკის სართავ საამქროში ორი რაციონალიზატორული წინადადება მხოლოდ თითო სართავ მანქანაზეა დანერგილი, მაშინ როცა თვითეული მათგანი 199 სართავ მანქანაზე უნდა დაენერგათ.

ამას წინათ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა გაფართოებულ კრებაზე, რომელსაც „კომკავშირული პროექტორის“ რაზმის წევრები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ესწრებოდნენ, განიხილა როგორც წარმოების რეზერვების გამოვლინების, ისე სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვის საკითხები. კრებამ ანალიზი გაუკეთა არსებულ მდგომარეობას და დასახა ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ პირველი რიგის სართავმა და საქსოვმა ფაბრიკებმა მეოთხე კვარტალიდან უზარალოდ იმუშაონ, ჯერ კიდევ ამუშავების პროცესში მყოფმა მეორე რიგის სართავმა და საქსოვმა ფაბრიკებმა მინიმუმამდე დაიყვანონ ზარალი.

ნ. ჯანეზაშვილი.

გორის ბამბეულის კომბინატის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

კონტროლმა უშველა

უმოქმედო კომისიები

სოფლკორის სიგნალები

მუდმივი კომისია ის ორგანოა, რომელიც დეპუტატებისაგან შედგება და ხალხთან საბჭოს კავშირის განტოიცებებს, მასობრივი შუამობის საშლის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს წარმოადგენს.

ეს ჭეშმარიტება რასაკვირველია, კარგად ესმით ბელოთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ივ. წიქარიძესა და მდივანს ა. შავარდენიძეს. მიუხედავად ამისა მუშაობის ამ მნიშვნელოვანი უბნისადმი მათ დაუშვებელი გულგრილობა და ზერელე დამოკიდებულება გამოიჩინეს.

საბჭოში ჩამოყალიბებულია ექვსი მუდმივი კომისია. მათ უმრავლესობას არჩევნების შემდეგ არაფერი არ გაუკეთებია, ხოლო ზოგ მათგანს ერთი ან ორი საკითხი შეუსწავლია და ამით მოუხდია მოვალეობა.

სახალხო განათლების მუდმივ კომისიას, რომელსაც ბელოთის რვაწლიანი სკოლის პედაგოგი, ამ სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი ბ. ბერუაშვილი ხელმძღვანელობს, გასულ წელს ერთგვარი ინიციატივა გამოუჩენია, მოფიქრებულად და გულდასმით შეუდგენია საშუალო გეგმები, მათში სოფლად საყოველთაო სწავლების კანონის გატარება, მშობლებთან მუშაობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები შეტანილი.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ მთავარია დასახული გეგმის შესრულება. კომისია მარტო გეგმის შედგენას დასჯერდა, შესრულებაზე კი არ იზრუნა. გეგმით გათვალისწინებული 11 საკითხიდან არც ერთი არ შეასრულა. საერთოდ კი გასული წლისა და მიმდინარე წლის მანძილზე კომისიას არც ერთი საკითხი არ გაუტანია არც აღმასკომის სხდომის, არც საბჭოს სესიის განსახილველად. ეს მით უფრო საწყენია, რომ კომისიის პედაგოგი და კომისიის თავმჯდომარეობენ ერთ-ერთ ადგილზე ინიციატორ ამ ორ ადამიანს.

ასეთივე ბედი ეწია ბელოთის ბინათმშენებლობის კომისიას. ეს კომისია

სტუმრად მესხების სოფელში

სერგეი მესხის დაბადების 120 წლისთავის გამო

ძველად მოიძებნება ამ ქვეყნად ისეთი ოჯახი, რომელსაც ხალხის კეთილდღეობის, საზოგადო საქმისათვის იმდენი თავდადებული ადამიანი აღეზარდოს, რამდენიც სიმონ მესხის ოჯახმა შესძინა საქართველოს. როგორც ცნობილია, ცამეტი შვილიდან სერგეის, კოტეს, ეფემიას, ივანეს, დავითის სახით სიმონმა შესანშნავი საზოგადო მოღვაწეები მისცა ჩვენს სამშობლოს.

ახლა, როცა სახელოვანი მამულიშვილის სერგეი მესხის დაბადებიდან 120 წელი შესრულდა, მადლიერი ქართველი ხალხი კვლავაც დიდებით მოიხსენიებს ამ შეაანიშნავ ადამიანთა პლეადას, რომლებმაც თავიანთი მახვილი კალმით თუ სცენიდან წარმოთქმული მართალი სიტყვით, ჩრდილოელი ფურცლებით შეამკეს ქართველი ერის მატიანეს დიდი წიგნი.

მრავალმხრივ საყურადღებო და ვრცელია ს. მესხის საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფერო. იგი იყო შესანიშნავი რედაქტორი და პუბლიცისტი, მშობლიური კულტურის უანგარო და თავდადებული მსახური, თვითმპყრობელობის მარწუხებში, მგმნავი მცირე ერების უშიშარი ქომაგი და მშრომელი ხალხის განათლების ბიარაღტარი.

დიდი დრო გავიდა სახალხო საქმისათვის კვარავით ანთებული ადამიანის — ს. მესხის გარდაცვალებიდან. ბევრი რამ შეიცვალა 80 წლის მანძილზე მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ზაგრამ არ წაშლილა, კვლავ უცვლელია ამ ადამიანისადმი ხალხის სიყვარული და პატივისცემა. მისი საფლავის ქვაზეა ამოკვეთილი ქართველი ხალხის საამაყო მგოსნის აკაკი წერეთლის სიტყვები:

სამგალითო მოღვაწევ,
ერთგულო შვილო ქართველისა,
რწმუნება გქონდა მომავლის,
გიყვარდა ძებნა მართლისა.
მაგრამ უდროოდ გაგვიქრა
ერთი ძმა პირველთაგანი...
საფლავში წაგყვა ნატვრისთვლად
ხსნის იმედისა საგანი!

ამაოდ არ ჩაუყლია სიმართლის მძებნელი მამულიშვილის ს. მესხის თავდადებულ შრომას. მომავლის რწმენით აღსავსეს გაუმართლდა იმედი — მხრები გამართა ქართველმა ხალხმა მესხების ოჯახივით მრავალრიცხოვანი სოციალისტური რეპუბლიკების ოჯახში. დიდმა ოქტომბრმა ლასვარი ჩასცა პატარა ერების მონობასა და სიღატაკეს. განათლებით, კულტურით, მეცნიერების საოცარი განვითარებით ხარობს ჩვენი მშვიდობისმოყვარე სამშობლო.

მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად ხარობს პატარა სოფელი რიონიც. ფერშეცვლილია, აყვავებულა მისი შემოგარენი, რომლებსაც სუკუნეთა ნაღვლით დაპყურებდა ხვამლის მთა, ბობოქრობით ჩაუვლიდა რიონი. ახალი ცხოვრების მზე კამკაშებს ხვამლის შუბლზე, რიონიც დაოკებულია, ზღვად დაგუბებულა, ლიკლიკებს მშვიდად და ელექტრობით აკიაფებს სოფლებს, ქალაქებს.

ჩვენც რიონში ვართ. სოფლის თავში მესხების საგვარეულო სასახლოსთან შეკრებილან ახალგაზრდები, თაკაცები. სანე უღიმით, თვალი უბრწყინავთ. რა უხარიათ?

შრომითა და გარჯით მოწეული ხვავრიელი შემოდგომა.

მაგრამ ასე როდი იყო ამ 120 წლის წინათ. ამ თაკარტოზე ვაზი ძნელად ხარობდა, სიმინდი ტანს ვერ იყრიდა, ზეთხილი ბია ღრღნიდა... ახლა რიონი როდი ჰგავს გასული საუკუნის იმერულ სოფელს, სადაც დ. კლდიაშვილის მიერ შესანიშნავად აღწერილი აზნაურები ჯაგლაგი ცხენით დაჯლიგინობდნენ ხმელი ჭადის და ვერცხლადა ღვინის საძებნელად! ახლა მესხების სოფელში ჭადიც ბევრია, ღვინოც, პურიც და ხილიც. კოლმეურნეს უხვად აქვს სტუმრისათვის პურმარილიც და კეთილი გულიც.

სოფლის შუაგულში აღმართულია ორსართულიანი თეთრი შენობა. ეს რიონის საშუალო სკოლაა, რომელიც სავსებით მართებულად ატარებს ქართული პრესის ფუძემდებლის სერგეი მესხის სახელს. მისი სანდომიანი სახე, მამულზე ფიქრით ანთებული თვალებია აღბეჭდილი სურათზე, სკოლის შესასვლელთან რომ კიდია. ოთხასამდე ბავშვი ეუფლება აქ მეცნიერების საფუძვლებს. მათ აქვთ კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, ხელსაწყო-იარაღები, კრიალა მერხები და დაფები. ეზოში ერიალული ბაღიდან დასასვენებლად გამოსულ პიონერული ყელსახვევებით მორთულ გოგო-ბიჭებს.

ას ოცი წლის წინათ ჭრაქი ბიუტავდა სოფელ რიონის ქოხსახლებში, ახლა კი ილიჩის ნათურები კაშკაშებენ ახალ სახლებში. ყველგან ისმის რადიოგადაცემები, ბევრგან ტელევიზორის ცისფერი ეკრანიც კიაფობს.

და ხაზიდან ხაზზე, ბოძიდან ბოძზე ვხედავთ ელექტროქენქნოკის მაშუკა მესხს — დიდ წინაპართა პატიოსან შთამომავალს, რომ ყველა სახლში ენთოს შუქი, არსად ჩაქრეს ილიჩის ნათურა.

სოფელ რიონში მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა სერგეის ამაგ დავითმა. „იგი სოფლის უპირველესი კაცი იყო“ — სიყვარულით იგონებს დავითის სახელს მისი თანასოფლელი მელიტონ ტურაბელიძე. იგი ახლა თვითონ პირველი ბერიკაცია სოფელში.

ბევრი რამ ახსოვს ოთხმოც წელს ციდწეულ ჯანმაგარ მოხუცს. ღონეერია მელიტონის ოჯახი, კეთილია მისი გული. დავითს იგი მუდამ პირველს აღიეგრძელებს ხოლმე, მეუღლე მარიამთან ერთად მოწიწებით თვალა მიაპყრობს სურათს, რომელიც მისი სახლის კედელს ამშვენებს... მას უხარია წლევანდელი ბარაქიანი შემოდგომა.

მეჩაიეობა, მეხილეობა, მესიმინდეობა, მესაქონლეობა — აი ასე მრავალდარგოვანია რიონის კოლმეურნეობა. აქ წელს პირველად აგუგუნდა ტრაქტორი „რიონი“ და ეშხი და ლაზათი მოაფინა აბიბინებულ ჩაის პლანტაციებს. აქ წელს პირველად შევიდა კოლმეურნეობის ფერმაში მექანიზაცია.

ხარობს მესხების სოფელი...

ხარობენ რიონელი კოლმეურნენი...

გ. მეფისაშვილი.

ეძღვნება პეტრე უმიკაშვილს

პეტრე უმიკაშვილის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული კულტურის განვითარება. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის საკითხების კვლევის დარგში. პეტრე უმიკაშვილი იყო ცნობილი ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი და პედაგოგი.

ქართველი საზოგადოებრიობა დიდი პატივისცემით აღნიშნავს პ. უმიკაშვილის დაბადების 125 და გარდაცვალების 60 წლისთავს. მომდინარე წლის 27 ოქტომბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართება საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომა, მიძღვნილი თვალსაჩინო მოღვაწისადმი. სხდომაზე მოხსენებებს წაიკითხავენ პროფესორები მ. ჩიქოვანი, გ. ჩხიკვაძე, ა. ღლონტი და სხვები.

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოუშვებს პეტრე უმიკაშვილის თხზულებათა ოთხტომეულს. (საქმესი).

შემოქმედის ფუნჯით

რუსუდან ჯავრიშვილის ნამუშევრების გამოფენაზე

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში გახსნილია ქართველი პეიზაჟისტი მხატვრის რუსუდან ჯავრიშვილის ნამუშევართა გამოფენა. მნახველთა დიდი მოწონებით სარგებლობს მისი პეიზაჟები, ნატიურმორტები, პორტრეტები, მონუმენტური ყდერადობის დიდი ტილოები.

რუსუდან ჯავრიშვილმა მთელი საქართველო შემოიარა და დიდი სიყვარული აღბეჭდა ტილოზე ქართული ხეროთმოძღვრების შედევრები.

ამ მხრივ აღსანიშნავია „ჯვრის მონასტერი“, „ვარძია“.

ასევე დასამახსოვრებელია „ერთაოშანდა“, მზითა და სინათლით სავსე „სვეტიცხოველი“.

ამ რამდენიმე ხნის წინათ რუსუდან ჯავრიშვილი შემოქმედებით მივლინებაში იყო ყირიმში, სადაც ჩვენი ქვეყნის ცნობილი აკვარელისტები შეიკრიბნენ. ყირიმში ყოფნის დროს ქართველმა მხატვარმა შექმნა მთელი რიგი სანტერესო ტილოები.

ხელოვანმა თავისი ხარკი მიუძღვნა თბილისს. სიყვარულით აამეტყველა მისი ეგზოტიკა. ხოტბა შეასხა მის ჩუქურთმიან აივნებს, მრავლის მომსწრე ციხე-გალავნის ნანგრევებს („ძველი თბილისის დარაჯი“). ასევე საინტერესოდ ასახა მხატვარმა დედაქალაქის აფრყო.

რუსუდან ჯავრიშვილის თითქმის ყველა ნაწარმოები ხალსაი შემოქმედებაა, არ იგრძნობა ფოტოგრაფიულობა, ნატურალისტური დაწვრილმანება. გაღიარებებთ მისი პორტრეტები „გოგონა“, „ქალიშვილის პორტრეტი“, ეს უკანასკნელი ვარდისფერი ტონებით დაწერილი ტილოა და მომხიბლავია თავისი ლირიკული, ფაქიზი განწყობილებით. ყურადღებას იქცევს ჩეხური, პოლონური, სკანდინავიური ჩანახატები.

ნ. ჯაფარიძე.



„ბულგარეთი. პეტრიწონის მონასტერი“.

„ოცი წლისა ვარ“

მოსკოვი. (საკ. კორ.). რეჟისორ მარლენ ხუციევის ორსერიანი ფილმი „ოცი წლისა ვარ“ („ილიჩის კარიბჭე“) უჩვენეს კინოს მუშაკთა შემოქმედებითს კლუბში. რეჟისორი აგრეთვე ავტორია სცენარისა, რომელიც მან დაწერა კინოდრამატურგ გენადი შპალიკოვთან ერთად.

სურათი ეძღვნება ოცწლიანებს, იმათ, ვინც ცხოვრების სარბიელზე გამოდის.

ფილმის გმირებს — ბავშვობის შეგობრებს სერგის, ნიკოლოზსა და სლავას მაყურებელნი ხედავენ ისეთ პერიოდში, როცა იწყება მათი სიმწიფე. დაწვრილებით უჩვენებენ რა თავიანთი გმირების დავაჟკაცების პროცესს, ავტორები შორდებიან მათ, როცა ეს ახალგაზრდები გრძნობენ თავს იმ რევოლუციური ტრადიციების მცველად და გახმაგრძობად, რომლებიც ომში დალუპულმა მამებმა უანდერძეს.

ფილმში აღძრულია ბევრი პრობლემა, რომლებიც განსაზღვრავენ თაობის სახეს, მის ფილოსოფიას. ეს არის მოქალაქეობრივი ვალის, პატრიოტიზმის, ტრადიციებისადმი დამოკიდებულების პრობლემები; ეს არის სიყვარული და მეგობრობა, პირადულისა და საზოგადოებრივის პრობლემა.

კინომოთხრობა, რომლის კომპოზიცია არ არის შებოჭილი სიუჟეტის ჩარჩოებით, გაშლილია მოსკოვის საქმიანი ყოველდღიურობის დოკუმენტურ ფონზე. თითქმის მთელი ფილმი გადაღებულია მოსკოვის ქუჩებში.

ოპერატორმა მარგარიტა პილიხინამ მოახერხა შეემჩნია მოსკოვის ყოფაცხოვრების დამახასიათებელი დეტალები, გადმოეცა დიდი ქალაქის რიტმი, მოსკოველის განუმეორებელი მომხიბლელობა.

გვირგვინი ეპოპეა

მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონის“ მეორე ჯართული გამოცემა

ბანუზოგადია ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის ადამიანზე ზეგავლენის ძალა. და მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი მწერალი, რომლის გულისცემასაც ისმენს და გრძნობს ხალხი.

სწორედ ხალხის მართალი გულის მესაიდუმლე, მისი ოცნების, ფიქრის, ბრძოლისა და შრომის ხელმამღლანი მხატვარია **მიხეილ შოლოხოვი** — საბჭოთა ეპოქის დიდი მწერალი.

მიხეილ შოლოხოვის დიდ სახალხო ეპოპეაში — „**წყნარ დონში**“ მაღალმხატვრულად აისახა ჩვენი რევოლუციური ეპოქა, ჩვენი ხალხის ისტორიული გმირობა. ეს არის საბჭოთა მწერლობის დიდი გაქანებისა და სიღრმის კლასიკური ნაწარმოები, რომელშიც ისტორიული სიმართლით არის დახატული და განზოგადებული XX საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთის სინამდვილის ბატალური სურათები.

ქართველი ხალხი, გამოჩენილი საბჭოთა მწერლის დიდი დამფასებელი და პატივისმცემელი, დღეს თავის მშობლიურ ენაზე კითხულობს მიხეილ შოლოხოვის თითქმის ყველა ძირითად ნაწარმოებს.

ამ კეთილშობილურ სახალხო საქმეში თავისი უანგარო წვლილი აქვს შეტანილი მწერალსა და მთარგმნელს **თინათინ ჯაკაბიშვილს**. მან ქართულად აამეტყველა „წყნარი დონის“ გმირები, რომლებიც დღეს მსოფლიოს 83 ენაზე „ლაპარაკობენ“.

„წყნარი დონის“ ქართული თარგმანი ხანგრძლივი დროის დაუდალავი, ენერგიული და მიხეილ შოლოხოვის შემოქმედებისადმი დიდი სიყვარულით შთაგონებული შრომის შედეგია.

თინათინ ჯავახიშვილს რომანის თარგმნა 1932 წელს დაუწყია. სწორედ მთარგმნელის დიდ გულმოდგინებასა და პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ საქმეს მან ოც წელზე მეტი დრო მოანდომა.

„წყნარი დონის“ პირველი წიგნი ქართველმა მკითხველმა მხოლოდ 1955 წელს მიიღო, ხოლო უკანასკნელი, მეოთხე წიგნი — 1958 წელს. პირველი წიგნის რედაქტორი იყო კ. ლორთქიფანიძე, სამი უკანასკნელი წიგნისა კი — რ. ჭორჭანა. რომანის ტექსტში ჩართული ლექსების თარგმანი შეასრულა ს. ფაშალიშვილმა. გამოცემის საერთო რედაქცია ეკუთვნოდა ა. დავითიანს.

მომავალი 1965 წელი საიუბილეო წელია მიხეილ შოლოხოვისათვის. 24 მაისს ხალხის საყვარელ მწერალს დაბადების 60 წლისთავი უსრულდება. სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ხელმეორედ სცემს „წყნარი დონის“ თინათინ ჯავახიშვილისეულ თარგმანს.

უკვე გამოვიდა რომანის პირველი და მეორე წიგნი (ერთ ტომად, რედაქტორი ა. დავითიანი). „წყნარი დონის“ ახალი გამოცემა დასურათებულია მხატვარ დ. ხახუტაშვილის მიერ, გრაფიკული გაფორმების ავტორია დ. დუნდუა. რომანის მესამე და მეოთხე წიგნს ჩვენი მკითხველი მომავალი წლის პირველ ნახევარში მიიღებს...

მწერალი თავის შემოქმედებაში უნდა ასახავდეს ცხოვრების სიმართლეს, ბედნიერებისათვის ხალხის ბრძოლის სიმართლეს. მიხეილ შოლოხოვმა თავის კლასიკურ ნაწარმოებში მთელი სიღრმით გახსნა, იგრძნო და დაგვიხატა ეს სიმართლე, და შემოქმედებითი გმირობის მაგალითი გვიჩვენა.

ხალხმა მაღალი შეფასება მისცა ამ გმირობას და მიხეილ შოლოხოვი თავის საყვარელ სახალხო მწერლად აღიარა.

ლ. კიკნაძე.

ზალზური სიმღერის მაჯლი

საგუნდო სიმღერა-გალობა ადამიანის სულსა და გულს უნდა სწვდებოდეს, აღელვებდეს. ადამიანი რომ მღერის, მაშინ მთელ მის არსებას ემღერება. მგალობელ ადამიანს არასოდეს ხმაში ნაძალადევობა არ უნდა ეტყობოდეს. ასე ასწავლიდნენ პატარა ვარლამს მისი აღმზრდელ-მასწავლებლები, ცნობილი მგალობლები ანტონ და დავით დუმბაძეები, ნესტორ კოტრიძე და სამეული ჩავლეშვილი, რომელთაგან სხვადასხვა დროს, მრავალი წლის მანძილზე უამრავი საერო, საეკლესიო საგალობელი, ძილისპირული და საგუნდო სიმღერა შეისწავლა...

ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო, როცა დაუახლოვდა იმნანად ოზურგეთში მცხოვრებ, იტალიის სამუსიკო სკოლაგავლილ, თბილისსა და სხვა ქალაქების საოპერო თეატრების ყოფილ მსახიობს, შესანიშნავ მომღერალსა და საზოგადო მოღვაწეს — ფილიმონ ქორიძეს და მის გუნდში შევიდა. ფილიმონის უშუალო დახმარებით დაეუფლა მუსიკალურ ანბანს — სანოტო ხელოვნებას და ამით თეორიულად განიმტკიცა სიყრმეშივე პრაქტიკულად მიღებული საგუნდო ხელოვნების ოსტატობა. ამ ხნიდან მოყოლებული, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, ვარლამ სიმონიშვილს თავისი საგუნდო სადირიჟორო პულტი ხელიდან არ გაუშვია...

იგი არა მარტო ხალხური სიმღერების კარგი მცოდნე, კარგი მომღერალი და ლოტბარი იყო, არამედ შესანიშნავი მოქალაქეც... მთელი თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მან ბევრი საუკეთესო გუნდი შექმნა.

ვ. სიმონიშვილს ახლო მეგობრობა და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ხალხური სიმღერების ცნობილ ოსტატებთან: ძუკუ ლოლუასთან, ავქსენტი მეგრელიძესთან, მარო თარხნიშვილთან, კიდევ გეგეკჭორთან და სხვებთან, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენი ეროვნული საუნჯის — ქართული ხალხური სიმღერების შემდგომ აყვავებასა და განვითარებას.

სწორი პედაგოგიური აღღო, მკაცრი შემოქმედებითი დისციპლინა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და გუნდის ყველა წევრისადმი საფუძვლად ედო ვარლამის მიერ აღზრდილ ლოტბართა და მომღერალთა მრავალრიცხოვან კადრებს, რომლებიც დღესაც საქართველოს სხვადასხვა გუნდებს ამშვენებენ. ლოტბართა და მომღერალთა კადრების აღზრდის საქმეში ავქსენტი მეგრელიძესთან ერთად, პირველობა უცილობლად ვარლამ სიმონიშვილსაც მიეკუთვნება.

მან დაგვიტოვა თავისებურად დახვეწილი და დამუშავებული ბევრი კარგი სიმღერა, რომელთაგან აღსანიშნავია: „დილა“, „ბაღია ჩვენი ქვეყანა“, „საქართველოს მზე ეწვია“, „ახლა ვხედავ საყვარელო“, „სიმღერა გენერალ ჩანჩიბაძეზე“ და სხვ.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვარლამ სიმონიშვილი დიდი პოპულარობითა და საყვარულით სარგებლობდა ხალხში. ამას წინათ ქ. მახარაძის მშრომელებმა საზეიმოდ აღნიშნეს მისი დაბადების 80 წლისთავი.

ს. თოიძე.

ნი ფელი სცენაზე

საჩხერე. (საკ. კორ.). 15 წლის იყო მარო ჩარკვიანი, როცა „პატარა კახში“ ელენეს როლი შეასრულა. იმ დღიდან სამოცი წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე მან ასზე მეტი როლი შეასრულა.

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლისა და საჩხერის კულტურის სახლის თაოსნობით საზეიმოდ აღინიშნა თვითმოქმედი მსახიობის მ. ჩარკვიანის დაბადების 75 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავი. მის შემოქმედებაზე ილაპარაკა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თ. ლოლაძემ. იუბილარს გადაეცა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის სიგელები.

უნდოგლოგა — პომპიდუს მთავროგას

პარიზი, 24 ოქტომბერი. საკადესის კორესპონდენტი ი. **ლოპატინი** იუწყება:

გუშინ საფრანგეთის ეროვნულ კრებაში შეიტანეს პომპიდუს მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუცია მის სოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. რეზოლუციის შეტანის უშუალო საბაბი იყო ის, რომ საფრანგეთის ვლეხები უკმაყოფილო არიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის, კერძოდ რძის მეტად დაბალი შესასყიდი ფასების გამო. ეს უკმაყოფილება გამოიხატა ამასწინანდელი „რძის გაფიცვით“, რომელიც მთელ საფრანგეთს მოედო. ხელოვნურად ფიცის რა შესასყიდი ფასების გაუმართლებლად დაბალ დონეს, მთავრობა მოქმედებს მსხვილი საბითუმო კომპანიების სასარგებლოდ, რომლებიც იმის მეოხებით, რომ შესასყიდი ფასების დონეს და გასაყიდი ფასების დონეს შორის არანორმალურად დიდი განსხვავებაა, ეზარამბარან სპეკულაციურ მოგებას იღებენ. ამასთან მთავრობა უგულებელყოფს საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო ბაზრის რეორგანიზაციის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ შეკვეთილ გადაწყვეტილებებსაც კი.

რეზოლუციას ხელს აწერს ეროვნული კრების 51 დეპუტატი.

რამდენიმე დღის წინათ პარლამენტის კომუნისტურმა ჯგუფმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ მზად არის შეუერთდეს ამ ჯგუფებს და მონაწილეობა მიიღოს უნდობლობის რეზოლუციის შემუშავებასა და შეტანაში.

40 ქვეყნის მოთხოვნა

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა 40 ქვეყანამ — მათ შორის ლათინური ამერიკის 21, ევროპის 5 და აფრიკა-აზიის 14 ქვეყანამ — მოითხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIX სესიის გახსნა გადიდოს 1964 წლის 1 დეკემბრამდე.

ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ როგორც ცნადია კონსულტაციებმა, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ბევრ ქვეყანას შორის, გენერალური ასამბლეის გახსნის ვადის გადატანა ეარგა სამსახურს გაეწიოს ორგანიზაციის ინტერესებს და უზრუნველყოფს ამ ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უფრო კონსტრუქციულ წვლილს გენერალური ასამბლეის მუშაობაში.

რასისტთა თავხედობა

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთში სულ უფრო თავხედდებიან რასისტი ხულიგნები, რომლებიც ტერორით აშინებენ რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლებს. იმის გამო, რომ ხელისუფლებმა ხებაზე მიუშვეს რასისტები, ისინი იყენებენ თვითმფრინავებს თეთრკანიანთა და შავკანიანთა თანასწორობისათვის მებრძოლების წინააღმდეგ.

მაგალითად, გუშინ საღამოს ერთი თვითმფრინავი თავს დასტრიალებდა ინდიანოლის (მისისიპის შტატი) „თავისუფლების სკოლას“, როცა იქ მიმდინარეობდა ზანგების მოქალაქეობრივ უფლებათა გაფართოების მომხრეთა კრება, რომელიც მოაწყო სტუდენტთა არაძალადობრივი მოქმედების კომიტეტმა. შემდეგ სკოლას პირველად ესროლეს სანათი რაკეტა, შემდეგ კი — რაღაც ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც აფეთქდა სკოლის თავზე. სკოლის შენობა შეაზანზარა ძლიერმა აფეთქებამ.

თვითმფრინავმა კიდევ რამდენჯერმე შემოუფრინა სკოლას და წავიდა „გაფრკვევილი მიმართულებით“ (ისევე, როგორც ამას სჩადიან რასისტი ბანდიტები დედამიწაზე).

მართალია, ქალაქში ყველამ იცოდა რასისტთა თავხედური გამოსვლის ამბავი, მაგრამ პოლიციის სამმართველოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არაფერი ცნობა არა აქვს ამ ინციდენტის შესახებ.

რეპრესია დემოკრატიული გაზეთის წინააღმდეგ

ათენი, 23 ოქტომბერი. (საკადესი). ათენის პროკურატურამ ახალი სასამართლო საქმე აღძრა დემოკრატიული გაზეთის „ავგის“ წინააღმდეგ. ამის საბაბი გახდა საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ა. კოლიანისის ამ გაზეთში გამოქვეყნებული ინტერვიუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის შექმნის 23 წლისთავთან დაკავშირებით.

ინდონეზიელ ბავშვთა ბანაკი

ვაშინგტონი, 23 ოქტომბერი. (საკადესი). საბჭოთა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის „ვოსხოდი“ გაფრენამ დაადასტურა ის, რაც ამერიკელებმა ორმოცდაათიანი წლებიდან იცოდნენ, სახელდობრ ის, რომ საბჭოთა კავშირს უპირატესობა აქვს დამჩქარებელთა სიმძლავრეში, განაცხადა გუშინ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რობერტ მაკნამარამ. მისი სიტყვით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამას წინათ თითქოს შეამციერეს სსრ კავშირისაგან ჩამორჩენა რაკეტული ძრავების სიმძლავრეში, მაგრამ საბჭოთა კავშირმა „ვოსხოდი“ გაშვებით დაიბრუნა ლიდერობა.

ინგლისი

ეცხოეთის ამბები

დღეები და მოვლენები

იძულებითი აღიარება

მაკნამარას პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 23 ოქტომბერი. (საკადესი). საბჭოთა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობს ამერიკის ყოფილი ელჩი პანამაში ჯოზეფ ფარლანდი, წამოაყენა კუბაში ისეთი მთავრობის აღდგენის გეგმა, რომელიც ამერიკის მონოპოლიების მორჩილი იქნება. ეს გეგმა ავტომატურად ხდება ფოლდუოტერის ოფიციალური პროგრამა წინასაარჩევნო ბრძოლაში. რესპუბლიკური პარტია, ამ გეგმის თანახმად, მოითხოვს „ცნონ კუბის იმიგრანტული მთავრობა და აღმოფხვრინონ მას მთელი შესაძლო ხელოვნური ბარიერები, რომელიც ამერიკის ოთხმოცდაათიანი წლებიდან იცოდნენ, სახელდობრ ის, რომ საბჭოთა კავშირს უპირატესობა აქვს დამჩქარებელთა სიმძლავრეში, განაცხადა გუშინ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რობერტ მაკნამარამ. მისი სიტყვით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამას წინათ თითქოს შეამციერეს სსრ კავშირისაგან ჩამორჩენა რაკეტული ძრავების სიმძლავრეში, მაგრამ საბჭოთა კავშირმა „ვოსხოდი“ გაშვებით დაიბრუნა ლიდერობა.

რ. მაკნამარა შეეხო „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის გეგმებს და გამოთქვა რწმენა, რომ ამ გეგმების განხილვა ნატოს ქვეყნების „სამეშაო ჯგუფში“ მიმდინარე წლის დამლევს ან მომავალი წლის დადგეს დამთავრდება.

რ. მაკნამარამ ძოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ უწოდა პირველი ღონისძიება, რომლის მიზანია არ დაუშვას ატომური იარაღის გავრცელება. მან აღნიშნა, რომ უნდა გადაიდგას სხვა ნაბიჯებიც იმისათვის, რომ შეჩერდეს ატომური იარაღის გავრცელების პროცესი. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრს არ ეთქვამს, თუ რა ნაბიჯები უნდა იყოს ეს.

რ. მაკნამარამ განაცხადა, „არ ვფიქრობ, რომ მომავალ საფინანსო წელს უკანასკნელი . კვირებიმ მოვლენათა თვალსაზრისით რამდენადმე მნიშვნელოვნად გაიზარდოს თავდაცვის ხარჯებიო (ამერიკის შეერთებულ შტატებში. — რედ.)“.

პრეს-კონფერენციის მსვლელობაში რ. მაკნამარამ დიდი ყურადღება დაუთმო სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობას, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი ვერ აცნობა კორესპონდენტებს.

ბელგიის ... ...

ბუენოს-აირესი. როგორც აგენტრ-პრესის საგანგებო იუწყება, მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, აქ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ხელი მოაწერეს 1965 წლის საქონელბრუნვისა და გადასახდელების ხელშეკრულებას.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა მიაწვდის მანქანებსა და მოწყობილობას, სათადარიგო ნაწილებს, საკისრებს, ავტოსატვირთავებს, სხვადასხვა ქიმიკატებსა და სხვა საქონელს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — ფოლადის ნაგლინს, სპეციალურ ფოლადს, თამბაქოს, მაგნეზიტს, თევზის კონსერვსა და სხვა საქონელს.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საქონელბრუნვის მოცულობის შემდგომი გადიდება.

... ...

ვაშინგტონი, 24 ოქტომბერი. (საკადესი). პრეზიდენტის პოსტზე რეს-პუბლიკელთა კანდიდატის მრჩეველთა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობს ამერიკის ყოფილი ელჩი პანამაში ჯოზეფ ფარლანდი, წამოაყენა კუბაში ისეთი მთავრობის აღდგენის გეგმა, რომელიც ამერიკის მონოპოლიების მორჩილი იქნება. ეს გეგმა ავტომატურად ხდება ფოლდუოტერის ოფიციალური პროგრამა წინასაარჩევნო ბრძოლაში. რესპუბლიკური პარტია, ამ გეგმის თანახმად, მოითხოვს „ცნონ კუბის იმიგრანტული მთავრობა და აღმოფხვრინონ მას მთელი შესაძლო

... ...

ლონდონი, 23 ოქტომბერი. (საკადესი). ინგლისის ლეიბორისტულმა მთავრობამ გაიარა სამხედრო-საზღვაო მანევრებისათვის მზადება, რომელიც ესპანეთთან ერთად უნდა გაემართა მომავალ კვირაში.

როგორც ინგლისის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, მანევრების გამართვა იმიტომ გაუქმდა, რომ „შესაფერისი დრო არ არის“.

გაზეთი „ტაიმსი“ დღეს გამოთქვამს აზრს, რომ ინგლისის მთავრობის ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია პოლიტიკური მოსაზრებით.

... ...

ვაშინგტონი, 24 ოქტომბერი. (საკადესი). ბალტიმორ-ოჰიოს სარკინიგზო კომპანიამ ... ...

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

□ **ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ.** (საკ. კორ.). კერამიკული ნაკეთობით ოდითგანვე განთქმულია სოფელი შროშა, ძირულის ხეობაში. აქაურ ქვევრებზე, ქოთნებზე, დოქებზე, ხელადებზე, სურებსა და ჭიქებზეა დიდი მოთხოვნილებაა.

ზესტაფონის რაიკოოპკავშირის გამგეობის თაოსნობით შროშაში აიგო კერამიკულ ნაკეთობათა სპეციალური გასაყიდი პავილიონი — „შროშა".

□ **ᲢᲘᲤᲚᲘᲡᲘ.** (საკ. კორ.). ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების დღეებში აქაურმა მეშახტეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — გურამიშვილის ქუჩაზე დამთავრდა ახალი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

□ **ᲮᲐᲨᲣᲠᲘ.** სოფელ ხცისის საფოსტო განყოფილებასთან გაიხსნა შემნახველი სალარო. იგი მომსახურებას გაუწევს სოფლების ხცისის, მიწობის, კრასხევის, დიდი და პატარა თხილნარის მცხოვრებლებს.

Ი. ᲝᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲒᲐᲬᲕᲠᲗᲜᲘᲚᲘ" ᲛᲝᲚᲔᲙᲣᲚᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 23 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). რომგორ ვმართოთ მოლეკულები და შევემნათ ისეთი პოლიმერული ნივთიერებანი, რომლებსაც ექნებათ წინასწარ გათვალისწინებული თვისებები? ამ პრობლემებს სწავლობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაღალმოლეკულური შენაერთების ინსტიტუტის მეცნიერები. მათ პოლივინილინის პირის საფუძველზე მოახდინეს ბოჭკოების ახალი „ოჯახის სინთეზი".

იმოქმედეს რა პოლიმერებზე წყლის გადამეტხურებული ორთქლით, სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობით, მკვლევარებმა შეძლეს ახალი ბოჭკოების მოლეკულების „მართვა". შეიქმნა ძაფები, რომლებსაც ბევრი ძვირფასი თვისება აქვს: გაწყვეტისადმი გადიდებული სიმტკიცე 140 კილოგრამამდე კვადრატულ მილიმეტრზე, განსაკუთრებული დიელექტრული თვისებები, სითბოსა და ბიოლოგიური ზემოქმედებისადმი დიდი მდგრადობა.

ახალი მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს კორდის ქსოვილებში დიდი გამავლობის ავტომობილის სალტეების შესაქმნელად, მინაბოჭკოს ნაცვლად პლასტიკების განსამტკიცებლად.

მეცნიერებმა მიიღეს აგრეთვე ელასტიური განსაკუთრებით წმინდა ბოჭკო, რომელიც წყალში იხსნება. ამ ბოჭკოს გამოიყენებენ მედიცინაში.

პოლივინილინსპირტის ბოჭკოებისათვის საწყისი ნედლეულია ბუნებრივი გაზი ან აცეტილენი. ამიტომ ახალი მასალები ერთიორად იაფი დაჯდება, ვიდრე ნეილონი და სხვა პოლიმერები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები ხელოვნური ბოჭკოს სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალთან ერთად მუშაობენ მიღებული პოლიმერული მასალების მრეწველობაში დასანერგავად.

ᲙᲘᲜᲝᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ „ᲛᲐᲪᲘ ᲮᲕᲘᲢᲘᲐ"

ᲮᲣᲗᲘᲛᲝᲓᲔ წელია, რაც კოლხიდის ზღვისპირა ქალაქ ფოთში ადგილობრივ კინომოყვარულთა წრე შეიქმნა. მათი პირველი ნამუშევარი იყო ნარკვევი „ფოთი", ხოლო შემდეგ შექმნეს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ნოველა „ლია". ორივე ამ ნამუშევრის ავტორი იყო წრის ხელმძღვანელი ვ. დოლბაია.

ახლა მათ მომზადეს სრულმეტრაჟიანი ფილმი ა. ფორცელაძის რომანის „მაცი ხვიტიას" მოტივების მიხედვით. ფილმის სცენარის ავტორი, რეჟისორი და ოპერატორია ვ. დოლბაია.

ჯ. ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

Ქ. ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲨᲘ მწყობრში ჩადგა ახალი საკონსერვო ქარხანა. იგი წელიწადში გამოუშვებს 9 მილიონამდე ქილა კონსერვს. სულ გადამუშავდება 4.000 ტონამდე ნედლეული. ქარხანა მომხმარებელს მიაწვდის სხვადასხვა ასორტიმენტის კონსერვს, კომპოტს, მურაბას, ჯემს, ხილის წვენს.

ცხაკაიელმა მეკონსერვეებმა პირველი პროდუქცია — 70 ტონა ხილის წვენი უკვე მისცეს სახელმწიფოს.

ს. ᲙᲣᲨᲮᲐᲕᲐ.

ᲔᲡ ᲤᲝᲢᲝᲢᲘᲞᲣᲓᲘ — „ᲛᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ" — რედაქციას შესთავაზა ფოტოკორესპონდენტმა ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲒᲣᲛᲘᲡᲗᲘᲡ ᲮᲔᲝᲒᲐᲨᲘ

ᲝᲠ დღეს მიმდინარეობდა გუმისთის ხეობაში სოხუმის ტურისტთა მეორე საქალაქო შეკრება. მეგობრობის მინდორზე ანთებულ კოცონთან მოეწყო ტურისტთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება.

ნ. ᲛᲘᲥᲐᲨᲐᲕᲘᲫᲔ.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐᲨᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲛᲓᲔ!

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ XVIII ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

TOKYO 1964

ᲢᲝᲙᲘᲝ, 24 ოქტომბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). ოლიმპიადის უკანასკნელ დღეს ჩასატარებელი იყო მხოლოდ ერთი შეჯიბრება — „ერების დიდი პრიზის" გათამაშება ცხენოსნობაში დაბრკოლებათა გადალახვით. გუნდურ ჩათვლაში ამ სპორტიო პრიზის მფლობელი გახდა ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ, ხოლო მესამეზე — ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ცხენოსნები.

პირად პირველობაში გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდა ᲞᲘᲔᲠ ᲖᲣᲜᲚᲐᲠ Დ'ᲝᲠᲘᲝᲚᲐ (საფრანგეთი). ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ᲰᲔᲠᲛᲐᲜ ᲨᲠᲘᲓᲔᲛ (გერმანია). მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲠᲝᲑᲘᲜᲡᲝᲜᲘ (დიდი ბრიტანეთი) და ᲗᲝᲛᲐᲡ ᲤᲘᲚᲘᲞ (ავსტრალია).

... ოლიმპიადა დამთავრდა. ᲐᲠᲐᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲒᲣᲜᲓᲣᲠ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲡᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲗᲐ ᲡᲠᲛᲝᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲛᲝᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ. თითქმის ორი კვირის მანძილზე საბჭოთა გუნდი კვალდაკვალ მიჰყვებოდა მეტოქეს. ბევრ სახეობაში ჩვენი სპორტსმენები წარუმატებლად გამოვიდნენ, მაგრამ ოლიმპიადის ბოლო ორ დღეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა, მოკრივეებმა, ნიჩბოსნებმა, ფრენბურთელმა და მოფარიკავე ვაუებმა გამოიჩინეს ნამდვილი სპორტული გმირობა, რითაც უზრუნველყვეს ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა გამარჯვება ოლიმპიადაზე.

ამ გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმაც. როგორც ცნობილია, საქართველოს წარმომადგენელი წარმატებით გამოვიდნენ ᲬᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ, მელბურნისა და რომის ოლიმპიადებზე. მელბურნში წასულმა 10 ქართველმა სპორტსმენმა სამშობლოში 8 მედალი ჩამოიტანა. რომში ჩვენი რესპუბლიკის 16 წარმომადგენელმა 11 სპრინზო ადგილი მოიპოვა, ხოლო რ. შავლაყადე და ა. ქორიძე ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ.

Ნ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ

ტოკიოს ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენების ნადავლი ასეთია: ფრენბურთელი ᲕᲐᲟᲐ ᲙᲐᲫᲐᲠᲐᲕᲐ და მოფარიკავე ᲜᲘᲖᲒᲐᲠ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ გუნდურ პირველობისათვის, ამას ყველაზე თვალსაჩინოდ მოწმობს ციფრები: გუნდი, რომელმაც მეოთხე ადგილი დიაკვნა, მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა პირველს.

მით უფრო მნიშვნელოვანი და საპატიოა ჩვენი ბულგარელი მეგობრების გამარჯვება. ორი ოქროს, ორი ვერცხლის, ერთი ბრინჯაოს მედალი — ასეთია გამარჯვებული გუნდის „მოსავალი". ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ მსუბუქი წონის მოჭიდავე ბ. დიმოვი და საშუალო წონის — რ. ბარჯიევი. ისინი ისევე როგორც დანარჩენი ბულგარელი ათლეტები გამოირჩეოდნენ კარგი ფიზიკური მომზადებით და მტკიცე ნებისყოფით. განსაკუთრებით მომეწონა დიმოვი, რომელმაც ტურნირი სამი წმინდა გამარჯვებით დაიწყო. ახალმა ჩემპიონმა ერთადერთი დამარცხება განიცადა ჩემს თანამემამულესთან თბილისელ ზ. ბერიაშვილთან. მაგრამ, ბულგარელის საბედნიეროდ, ბერიაშვილმა თვითონაც წააგო თურქ ათალაისთან და ფინალში ვერ მოხვდა.

ხუთი მედლით (ორი ოქროსი, ერთი ვერცხლისა, ორი ბრინჯაოსი) მეორე ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა მოჭიდავეები. უდავოა, ასეთ მძიმე ტურნირში მეორე ადგილიც ფრიად საპატიოა, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვა — ჩვენ მეტს მოველოდით.

ალექსანდრე მედვედისა და ალექსანდრე ივანიცკის ჩინებულ გამოსვლასთან ერთად ჩაკარდნებიც იყო. თავიანთ შესაძლებლობაზე უფრო დაბალ დონეზე გამოვიდნენ ალი ალიევი (მეოთხე ადგილი) და შოთა ლომძიძე, რომელიც პრიზიორთა ექვსეულშიც ვერ შევიდა. მე მგონია, რომ ალიევი გადაქანცული იყო წვრთნაში, თავიდანვე დაღლილი ჩანდა. ასეთ მდგომარეობაში მისგან მაღალი შედეგის მოლოდინი არ უნდა გვქონოდა.

იაპონელი მოჭიდავენი დადებითად განსხვავდებოდნენ დანარჩენი ათლეტებისაგან მრავალმხრივი ტექნიკური მომზადებით, შერკინების თავისებური, მხლოდ მათთვის დამახასიათებელი სტილით. ეს სტილი ემყარება ფეხებით ილეთების მარჯვედ შესრულებას ხელების აქტიურ მუშაობასთან უნაკლო კოორდინაციით.

მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვაწარმოოთ თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკისა და ტაქტიკის გამდიდრების შემდგომ შესაძლებლობათა ძიება.

დასასრულ არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი სტუმართმოყვარე და ყურადღებიანი მასპინძლები. იაპონიის ჭიდაობის ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, რომ ტურნირს მაღალ დონეზე ჩაევლო.

ᲐᲮᲐᲚᲒᲔᲓᲔᲑᲘ ᲐᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲔᲜ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲡ

ᲢᲝᲙᲘᲝ, (ახალი ამბების სააგენტოს ტელეგრაფით). ოლიმპიურ ასპარეზობაზე საინტერესოდ წარიმართა ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა ინტერვიუ აიღო ახლო წარსულში პოპულარული მოჭიდავის, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძისაგან, რომელიც ასპარეზობაზე არბიტრად არის ჩამოსული. აი რა გვიამბო ბალავაძემ:

— პირველი რამ, რითაც ტოკიოს ტურნირი განსხვავდება წინა ტურნირებისაგან და რაც, ჩემი აზრით, ყველაზე ყურადსაღებია, — ეს არის იმ გუნდების რაოდენობის მკვეთრად გაზრდა, რომლებიც სრული უფლებით აცხადებდნენ პრეტენზიას საპრიზო ადგილებზე. ტრადიციულად „საოჭიდაო", თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვეყნებს უშუალოდ მიუახლოვდნენ კორეის, პაკისტანისა და სხვა ქვეყნების წინათ სრულიად უცნობი გუნდები, ოლიმპიადის მასპინძლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ახალგიდებმა ისე თამამად გადადგეს ნაბიჯი წინ, რომ მათს ფონზე საკმაოდ მკრთალი გვეჩვენა ბევრი გუნდის შედეგები, კერძოდ, ისეთი გამოცდილისაც, როგორიც ირანის გუნდია. ქვეყანამ, რომელმაც თავისუფალი ჭიდაობის ოსტატთა მთელი პლეადა აღზარდა, ამჯერად ერთი ოქროს მედალიც ვერ მოიპოვა.

თუ რა დაძაბული იყო ბრძოლა საერთაშორისო ტურნირ პირველობისათვის, ამას ყველაზე თვალსაჩინოდ მოწმობს ციფრები: გუნდი, რომელმაც მეოთხე ადგილი დიაკვნა, მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა პირველს.

ᲗᲘᲗᲝ ᲛᲔᲓᲚᲘᲗ (ორი ოქროსი, ერთი ვერცხლისა, ორი ბრინჯაოსი) მეორე ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა მოჭიდავეები. უდავოა, ასეთ მძიმე ტურნირში მეორე ადგილიც ფრიად საპატიოა, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვა — ჩვენ მეტს მოველოდით.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲔᲓᲕᲔᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲕᲐᲜᲘᲪᲙᲘᲡ ჩინებულ გამოსვლასთან ერთად ჩაკარდნებიც იყო. თავიანთ შესაძლებლობაზე უფრო დაბალ დონეზე გამოვიდნენ ალი ალიევი (მეოთხე ადგილი) და შოთა ლომძიძე, რომელიც პრიზიორთა ექვსეულშიც ვერ შევიდა. მე მგონია, რომ ალიევი გადაქანცული იყო წვრთნაში, თავიდანვე დაღლილი ჩანდა. ასეთ მდგომარეობაში მისგან მაღალი შედეგის მოლოდინი არ უნდა გვქონოდა.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ მოჭიდავენი დადებითად განსხვავდებოდნენ დანარჩენი ათლეტებისაგან მრავალმხრივი ტექნიკური მომზადებით, შერკინების თავისებური, მხლოდ მათთვის დამახასიათებელი სტილით. ეს სტილი ემყარება ფეხებით ილეთების მარჯვედ შესრულებას ხელების აქტიურ მუშაობასთან უნაკლო კოორდინაციით.

მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვაწარმოოთ თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკისა და ტაქტიკის გამდიდრების შემდგომ შესაძლებლობათა ძიება.

დასასრულ არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი სტუმართმოყვარე და ყურადღებიანი მასპინძლები. იაპონიის ჭიდაობის ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, რომ ტურნირს მაღალ დონეზე ჩაევლო.

ᲥᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲔᲥᲕᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

	ქულა	ოქრო	ვერცხ.	ბრინჯ.	IV ადგ.	V ადგ.	VI ადგ.
1. სსრ კავშირი	608,3	30	31	35	18	24	10
2. ამერიკ. შეერთ. შტატ.	581,8	36	26	28	20	10	13
3. გერმანიის გაერთ. გუნდი	337,5	10	22	18	13	15	21
მათ შორის გდრ	103	3	7	3	8	4	4
4. იაპონია	235	16	5	8	12	8	16
5. იტალია	185	10	10	7	8	5	6
6. უნგრეთი	174	10	7	5	6	12	8

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐᲖᲔ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲐᲨᲘᲨ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ მასპინძლთა უპირატესობით დაიწყო. ტორპედოელები მეტწილად საკუთარი კარის მისადგომების დაცვაზე ზრუნავდნენ. მე-17 წუთზე მარქაოვი პირისპირ გავიდა მეკარე ურუშაძესთან, მაგრამ 5-6 მეტრიდან აიცილა ბურთი კარს. 38-ე წუთზე ტუაევის ძლიერი დარტყმა მოიგერია ურუშაძემ, 42-ე წუთზე კუთაისელთა კარი ძელმა იხსნა.

არც მეორე ნახევარში დამცხრალა შეუპოვარი ბრძოლა. დასაწყისში ტუაევი გაექცა ოდიკაძესა და სიამაშვილს, შედეგ კი კარის გასწვრივ ჩაიწოდა. გაჯიევი ხელსაყოველ პოზიციაში აღმოჩნდა და ანგარაშიც გახსნა.

თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე გოლოდეც-მარქაოვ-ბანიშევსკის კომბინაცია თავური დარტყმით ბანიშევსკიმ დააგვირგვინა.

გაიმარჯვა „ნეფტიანიკმა" ანგარაშით 2:0. ქუთაისის ტორპედოელები კვლავ აუტსაიდერთა რიგებში აღმოჩნდნენ.

„ᲜᲔᲤᲢᲘᲐᲜᲘᲙᲘ" (ბაქო) — „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ" (ქუთაისი) 2:0 (0:0). ბაქო. 24 ოქტომბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის რესპუბლიკური სტადიონი. ნსაჯი — პ. ᲙᲐᲡᲬᲘᲙᲝᲕᲘ (მოსკოვი).

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

„Ა" ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲒᲣᲜᲓᲘ გაიმართა „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში.

ᲓᲘᲜᲔᲪᲙᲘᲗᲘ თამაშობდნენ ადგილობრივი „შახტიორისა" და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდები. დონეცკელმა ფეხბურთელებმა აღმავლობით ჩაატარეს ბრძოლა და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲐᲣᲢᲡᲐᲘᲓᲘᲠᲘ კიშინიოვის „მოლდოვა" საკუთარ მოედანზე შეხვდა დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს. აქ მატჩის ბედი გადაწყვიტა ვრთდერთმა ბურთმა. გაიმარჯვა სკა-მ.

• • •

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამო" 26 ოქტომბერს ითამაშებს ალმა-ატაში „კაირატთან".

„Ა" ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ლოკომოტივი" თამაშობდა ხარკოვში „ავანგარდის" წინააღმდეგ და დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 2:1.

ᲙᲐᲨᲙᲔᲢᲘᲡ „პატეკორისა" და ოდესის არმიის სასპორტო კლუბის გუნდების მატჩის შედეგი 1:1.

ᲝᲓᲔᲡᲘᲡ „ჩერნომორეცმა" საკუთარ მოედანზე მოუგო ერევნის „არარატს" 2:1.

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘᲡ „ქალგირისისა" და ვორონეჟის „ტრუდის" მატჩის შედეგია 2:0 „ქალგირისის" სასარგებლოდ.

ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲑᲘᲜᲡᲙᲘᲡ „ლოკომოტივისა" და ყარაგანდის „შახტიორის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ლოკომოტივმა" დაამარცხა რიგის „დაუგავა" 1:0.

ᲚᲣᲒᲐᲜᲡᲙᲘᲡ „ზარიამ" მოუგო ლვოვის „კარპატს" 3:2.

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐᲖᲔ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲐᲨᲘᲨ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ მასპინძლთა უპირატესობით დაიწყო. ტორპედოელები მეტწილად საკუთარი კარის მისადგომების დაცვაზე ზრუნავდნენ. მე-17 წუთზე მარქაოვი პირისპირ გავიდა მეკარე ურუშაძესთან, მაგრამ 5-6 მეტრიდან აიცილა ბურთი კარს. 38-ე წუთზე ტუაევის ძლიერი დარტყმა მოიგერია ურუშაძემ, 42-ე წუთზე კუთაისელთა კარი ძელმა იხსნა.

არც მეორე ნახევარში დამცხრალა შეუპოვარი ბრძოლა. დასაწყისში ტუაევი გაექცა ოდიკაძესა და სიამაშვილს, შედეგ კი კარის გასწვრივ ჩაიწოდა. გაჯიევი ხელსაყოველ პოზიციაში აღმოჩნდა და ანგარაშიც გახსნა.

თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე გოლოდეც-მარქაოვ-ბანიშევსკის კომბინაცია თავური დარტყმით ბანიშევსკიმ დააგვირგვინა.

გაიმარჯვა „ნეფტიანიკმა" ანგარაშით 2:0. ქუთაისის ტორპედოელები კვლავ აუტსაიდერთა რიგებში აღმოჩნდნენ.

ᲐᲮᲐᲚᲒᲔᲓᲔᲑᲘ ᲐᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲔᲜ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲡ

ᲢᲝᲙᲘᲝ, (ახალი ამბების სააგენტოს ტელეგრაფით). ოლიმპიურ ასპარეზობაზე საინტერესოდ წარიმართა ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა ინტერვიუ აიღო ახლო წარსულში პოპულარული მოჭიდავის, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძისაგან, რომელიც ასპარეზობაზე არბიტრად არის ჩამოსული. აი რა გვიამბო ბალავაძემ:

— პირველი რამ, რითაც ტოკიოს ტურნირი განსხვავდება წინა ტურნირებისაგან და რაც, ჩემი აზრით, ყველაზე ყურადსაღებია, — ეს არის იმ გუნდების რაოდენობის მკვეთრად გაზრდა, რომლებიც სრული უფლებით აცხადებდნენ პრეტენზიას საპრიზო ადგილებზე. ტრადიციულად „საოჭიდაო", თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვეყნებს უშუალოდ მიუახლოვდნენ კორეის, პაკისტანისა და სხვა ქვეყნების წინათ სრულიად უცნობი გუნდები, ოლიმპიადის მასპინძლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ახალგიდებმა ისე თამამად გადადგეს ნაბიჯი წინ, რომ მათს ფონზე საკმაოდ მკრთალი გვეჩვენა ბევრი გუნდის შედეგები, კერძოდ, ისეთი გამოცდილისაც, როგორიც ირანის გუნდია. ქვეყანამ, რომელმაც თავისუფალი ჭიდაობის ოსტატთა მთელი პლეადა აღზარდა, ამჯერად ერთი ოქროს მედალიც ვერ მოიპოვა.

თუ რა დაძაბული იყო ბრძოლა საერთაშორისო ტურნირ პირველობისათვის, ამას ყველაზე თვალსაჩინოდ მოწმობს ციფრები: გუნდი, რომელმაც მეოთხე ადგილი დიაკვნა, მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა პირველს.

მით უფრო მნიშვნელოვანი და საპატიოა ჩვენი ბულგარელი მეგობრების გამარჯვება. ორი ოქროს, ორი ვერცხლის, ერთი ბრინჯაოს მედალი — ასეთია გამარჯვებული გუნდის „მოსავალი". ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ მსუბუქი წონის მოჭიდავე ბ. დიმოვი და საშუალო წონის — რ. ბარჯიევი. ისინი ისევე როგორც დანარჩენი ბულგარელი ათლეტები გამოირჩეოდნენ კარგი ფიზიკური მომზადებით და მტკიცე ნებისყოფით. განსაკუთრებით მომეწონა დიმოვი, რომელმაც ტურნირი სამი წმინდა გამარჯვებით დაიწყო. ახალმა ჩემპიონმა ერთადერთი დამარცხება განიცადა ჩემს თანამემამულესთან თბილისელ ზ. ბერიაშვილთან. მაგრამ, ბულგარელის საბედნიეროდ, ბერიაშვილმა თვითონაც წააგო თურქ ათალაისთან და ფინალში ვერ მოხვდა.

ᲮᲣᲗᲘᲛᲝᲓᲔ (ორი ოქროსი, ერთი ვერცხლისა, ორი ბრინჯაოსი) მეორე ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა მოჭიდავეები. უდავოა, ასეთ მძიმე ტურნირში მეორე ადგილიც ფრიად საპატიოა, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვა — ჩვენ მეტს მოველოდით.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲔᲓᲕᲔᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲕᲐᲜᲘᲪᲙᲘᲡ ჩინებულ გამოსვლასთან ერთად ჩაკარდნებიც იყო. თავიანთ შესაძლებლობაზე უფრო დაბალ დონეზე გამოვიდნენ ალი ალიევი (მეოთხე ადგილი) და შოთა ლომძიძე, რომელიც პრიზიორთა ექვსეულშიც ვერ შევიდა. მე მგონია, რომ ალიევი გადაქანცული იყო წვრთნაში, თავიდანვე დაღლილი ჩანდა. ასეთ მდგომარეობაში მისგან მაღალი შედეგის მოლოდინი არ უნდა გვქონოდა.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ მოჭიდავენი დადებითად განსხვავდებოდნენ დანარჩენი ათლეტებისაგან მრავალმხრივი ტექნიკური მომზადებით, შერკინების თავისებური, მხლოდ მათთვის დამახასიათებელი სტილით. ეს სტილი ემყარება ფეხებით ილეთების მარჯვედ შესრულებას ხელების აქტიურ მუშაობასთან უნაკლო კოორდინაციით.

მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვაწარმოოთ თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკისა და ტაქტიკის გამდიდრების შემდგომ შესაძლებლობათა ძიება.

დასასრულ არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი სტუმართმოყვარე და ყურადღებიანი მასპინძლები. იაპონიის ჭიდაობის ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, რომ ტურნირს მაღალ დონეზე ჩაევლო.

ᲛᲐᲛᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲜᲘ

— ᲙᲐᲚᲔᲝᲚᲝᲒᲘᲗᲘ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠ